# საქართველო
# GEORGIA


გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA


N 6142/01
17/06/2022

6142-01-2-202206171418

თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს

ქალბატონ ლეილა ფოლადიშვილს

ქალბატონო ლეილა,

თქვენს წარმოებაში არსებულ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" სარჩელთან დაკავშირებით საქმეზე N3/3212-22, წარმოგიდგენთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაგებელს.

დანართი: შესაგებელი (3 ეგზემპლარი ).

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

თბილისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 21.06.22
შემოსვლის დრო 3
შემოსვლის № 5908450
ფურცლების რაოდენობა [illegible]



# Sesagebeli
## administraciul saqmeze

საქმეთა კოლეგია
*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

შტამპის ადგილი

| | | |
|---|---|---|
| საქმე №3/3212-22 | ააიპ "მწვანე ალტერნატივა" | ლეილა ფოლადიშვილი |
| | მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) | მოსამართლის სახელი და გვარი |

**mopasuxe:** შენიშვნა-1

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-2 | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**mopasuxis warmomadgeneli:** შენიშვნა-3

| | | |
|---|---|---|
| | | |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

**sakontaqto piri:** შენიშვნა-4

| | | | |
|---|---|---|---|
| ნატო მაჭარაშვილი | | 577 080819 | |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

შენიშვნა-5

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე:forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-6

| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |
|---|---|---|
| | | |

| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |
|---|---|
| | |

| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |
|---|---|---|---|---|
| | | | | |

შენიშვნა-7

**cnobT Tu ara sarCels?**

**diax** ☐
**ara** ☒
**nawilobriv** ☐

შენიშვნა-8

*შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12*

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელე ყველა ფაქტობრივ გარემოებას არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს, არ ვეთანხმებით არცერთ მოსაზრებას და სამინისტროს პოზიციას დეტალურად წარმოგიდგენთ შესაგებლის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში.

## davis damatebiTi faqtobrivi garemoebebi

*შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15*

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

diax ☐ ...
ara ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

diax ☐ რის საფუძველზე?
ara ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

diax ☐ რომელი საფუძვლით?
ara ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

diax ☐ რომელი საფუძვლით?
ara ☒

შენიშვნა-19

## mopasuxis pozicia sasarCelo moTxovnasa da mis samarTlebriv safuZvlebze

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

მოსარჩელის მოთხოვნა: ბათილად იქნეს ცნობილი ერთის მხრივ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 19 აპრილის N212/1283 და მეორეს მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 5 მაისის N4676/01 წერილები, უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლი კონკრეტულად განსაზღვრავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილობის პირობებს და ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანომდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელთან მიმართებაში უნდა დადგინდეს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წრე, რომელიც ქმნის ზემოაღნიშნული მუხლის შემადგენლობას - გასაჩივრებული აქტის კანონშეუსაბამობას ან მისი მომზადება-გამოცემის წესების დარღვევას.

როგორც იურიდიულ დოქტრინაში, ასევე პრაქტიკაში დადგენილია ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის კანონიერების განსაზღვრის კრიტერიუმები: ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის, როგორც საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დასაშვებობა და ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ფორმალური და მატერიალური კანონიერება. წინამდებარე კრიტერიუმებიდან რომელიმე მათგანის დაუცველობა კი, განაპირობებს მის უკანონობას და შესაბამისად იწვევს აქტის ბათილობასაც.

რაც შეეხება აქტის ბათილობის მეორე საფუძველს, თუ რა ითვლება აქტის მომზადების და გამოცემის კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევად, კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით განმარტავს, რომ აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციული

ადმინისტრაციული წარმოების [illegible] არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ხოლო, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებებს.

მოცემულ სამართლებრივ დავაში მოსარჩელე მხარე ვერ ასაბუთებს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები რა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებენ მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. მიგვაჩნია, რომ როგორც სააგენტოს, ასევე სამინისტროს სადავოდ გამხდარი წერილები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ" პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, კერძოდ: ინდ. აქტი აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები". გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 მარტს მოსარჩელემ მიმართა სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს, რომლითაც მოითხოვა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სპეციალური ლიცენზიის გაყიდვის და აუქციონის გამართვის შესახებ საჯარო ინფორმაცია და მასალები, რომლის საპასუხოდ, 2022 წლის 19 აპრილის N21/1283 წერილით, სააგენტოს მიერ კომპეტენციის ფარგლებში დეტალურად განემარტა აუქციონის გამოცხადების პროცედურების და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც განხორციელდა უშუალოდ სააგენტოს მხრიდან. ცხადია, რომ გასაჩივრებული სააგენტოს წერილი ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და არ წარმოადგენს განმცხადებლისთვის უარის თქმას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე, შესაბამისად, განმცხადებლის მიმართ ადგილი არ აქვს უფლებების დარღვევის ფაქტს და არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით დადგენილი აქტის ბათილობის პირობებს, სადავოდ გამხდარი აქტი „არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს" და ამასთან, „არც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს" და შესაბამისად, არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სარჩელის დაკმაყოფილების პირობები („თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ").

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააგენტოს ხელახლა რომც დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემა, მას მიეწოდება იგივე ინფორმაცია, რაც უკვე გაეგზავნა სააგენტოს

ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის [illegible]
შემთხვევაშიც, თუ განმცხადებელი სააგენტოსგან მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თვლიდა, რომ ინფორმაცია არ იყო სრულყოფილი, უნდა დაეზუსტებინა მოთხოვნა და მოეთხოვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდება გარემოს ეროვნული სააგენტოსგან, რასაც ადგილი არ ჰქონია და მან პირდაპირ მომართა სამინისტროს 2022 წლის 29 აპრილს N22/05-157 ადმინისტრაციული საჩივრით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრომ შესაბამისად აცნობა განმცხადებელს, რომ თუ თვლიდა, რომ ადგილი ჰქონდა მისი უფლებების დარღვევას, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე უნდა მიემართა სასამართლოსთვის. აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი, რომლის თანახმად, „პირს აქვს უფლება, საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვისას, საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისას და დამუშავებისას;

გ) საჯარო დაწესებულების, სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას".

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული სამინისტროს 2022 წლის 5 მაისის N4676/04 წერილი ასევე ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და ვერ აკმაყოფილებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლით დადგენილ მოთხოვნებს - იგი „არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს" და ამასთან, „არც პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ხოლო იმისათვის, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი დასაშვები იყოს, გასაჩივრებული აქტი პირდაპირ და უშუალო ზიანს უნდა აყენებდეს დაინტერესებული პირის უფლებებს და ინტერესს, რასაც ადგილი არ აქვს.

შესაბამისად, წინამდებარე არგუმენტაციის და სამართლებრივი ნორმების ანალიზის გათვალისწინებით, ცალსახაა, რომ მხარის მოთხოვნები არის დაუსაბუთებელი, სარჩელში წარმოდგენილი მსჯელობა არ შეიცავს კონკრეტულ ნორმაზე დამყარებულ არგუმენტებს და სასამართლოს მიერ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მოწმე ფაქტობრივი გარემოება(ები)

ექსპერტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

სპეციალისტი ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

## sxva saxis Suamdgomlobebi

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**diax** ☐ რის საფუძველზე?

**ara** ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**diax** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**ara** ☒

ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

**Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?**

**diax** ☐ მორიგების პირობები:

**ara** ☒ რადგან

შენიშვნა-30

## TandarTuli sabuTebis nusxa

შენიშვნა-31 შენიშვნა-32

დანართი 1. "ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის N2-557 ბრძანება.

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა: 11 ფურცელი.

diax ☐
ara ☐ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?
15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?
I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?
diax ☐
ara ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?
ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?
diax ☐
ara ☒ რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

გიორგი ხანიშვილი 14/06/2022 წ.

მინისტრის პირველი მოადგილე

| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |
|---|---|---|

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.